

ზოგადი რეკომენდაცია XIV (42) კონვენციის პირველი მუხლის

პირველი პუნქტის შესახებ

1. დისკრიმინაციის დაუშვებლობა, სამართლის წინაშე თანასწორობასთან და ყოველგვარი დისკრიმინაციის გარეშე სამართლის მიერ თანაბრად დაცვასთან ერთად წარმოადგენს ადამიანის უფლებათა დაცვის ძირითად პრინციპს. კომიტეტს სურს წევრი სახელმწიფოების ყურადღება მიაპყროს რასობრივი დისკრიმინაციის განმარტების გარკვეულ ელემენტებს რასობრივი დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ კონვენციის პირველი მუხლის პირველ პუნქტში. ის იზიარებს მოსაზრებას, რომ სიტყვას „საფუძველზე“ არ გააჩნია რაიმე განსხვავებული მნიშვნელობა პრეამბულის მე-7 პუნქტში ნახსენები სიტყვისგან „ნიშნით“. განსხვავება ეწინააღმდეგება კონვენციას, თუ ის მიზნად ისახავს ან იწვევს კონკრეტული უფლებებისა და თავისუფლებების შელახვას. ეს დასტურდება წევრი სახელმწიფოების მე-2 მუხლის, პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ვალდებულებით, რომ გაუქმდეს ნებისმიერ კანონი ან პრაქტიკა, რომელიც იწვევს დისკრიმინაციის წარმოშობას ან გახანგრძლივებას.

2. კომიტეტი ასკვნის, რომ დიფერენციული მოპყრობა არ ჩაითვლება დისკრიმინაციად თუ ამგვარი დიფერენცირების კრიტერიუმები, კონვენციის მიზნებისა და დანიშნულების გათვალისწინებთ ლეგიტიმურია ან თავსდება კონვენციის პირველი მუხლის, მე-4 პუნქტის ფარგლებში. იმ კრიტერიუმებზე მსჯელობისას, რისი გამოყენებაც დასაშვებია, კომიტეტი აღნიშნავს, რომ კონკრეტულ ქმედებას შეიძლება განსხვავებული მიზნები ქონდეს. იმის განსაზღვრისას, იწვევს თუ არა ქმედება კონვენციის საწინააღმდეგო შედეგს, კომიტეტი დააკვირდება რამდენად ახდენს ეს ქმედება გაუმართლებლად უთანასწორო გავლენას ჯგუფზე, რომელიც გამოირჩევა თავისი რასით, კანის ფერით, წარმომავლობით ან ეროვნული ან ეთნიკური წარმოშობით.

3. კონვენციის პირველი მუხლის პირველი პუნქტი აგრეთვე ეხება პოლიტიკურ, ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ სფეროებს; მათთან დაკავშირებული უფლებები და თავისუფლებები მოცემულია მე-5 მუხლში.

981-ე შეხვედრა

17 მარტი, 1993



ზოგადი რეკომენდაცია ითარგმნა სამხრეთ კავკასიაში გაეროს ადამიანის უფლებათა უმაღლესი კომისრის ოფისის მხარდაჭერით.